



**დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
განკარგულება**



განკარგულება:გ-109. 109223429  
თარიღი:08/12/2022

**დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოწონების  
თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მოწონებული იქნას დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (თან ერთვის).
2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (ქ. ბოლნისი სულხან საბას ქ. N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
ელექტრონული ხელმოწერა/  
ელექტრონული შტამპი





დმანისი მუნიციპალიტეტის  
პრიორიტეტების დოკუმენტი

2023-2026 წლები

1

შინაარს

შესავალი	4
თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ	5
ისტორია	5
მდებარეობა	5
ფართობი	6
მმართველობის ორგანოები	8
მოსახლეობა	8
საჯარო დაწესებულებები	10
თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები	11
შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2021-2026 წლებში	12
შემოსულობები	13
გადასახდელები	14
ბიუჯეტის ბალანსი	15
2021-2026 წლების ბიუჯეტების მიმოხილვა	16
2021წლის ბიუჯეტის შესრულება	17
2022 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა	20

ინფრასტრუქტურის განვითარება-----	25
დასუფთავება და გარემოს დაცვა-----	53
განათლება-----	62
კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი-----	76
მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა-----	96
მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები-----	107

## შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება კვლავ დაეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ზიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

## თავი I. ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

### ისტორია

ქვემო ქართლში დმანისის მუნიციპალიტეტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი გამოირჩევა თავისი მდიდარი წარსულითა და უნიკალური არქეოლოგიური აღმოჩენებით. დმანისი მთელ მსოფლიოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ დმანისის ნაქალაქარის ტერიტორიაზე აღმოჩენილია უძველესი „Homo-ereqtus“-ის ადამიანის ნაშთები (ოთხი თავის ქალა, ხუთი ქვედაყბა და სხეულის სამოცამდე სხვა ნაწილი), რომელიც თარიღდება 1.8-1.7 მილიონი წლით. აქედან გამომდინარე კაცობრიობის ისტორია დმანისისდან იწყება.


დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადამიანის ცხოვრების ყველა პერიოდი, დაწყებული მისი წარმოშობა-დამოყალიბებამდე, რომელიც დაიწყო ადამიანის ცხოვრების დასაწყისში, არსებობის პერიოდში, რომელიც დასრულდა მისი გაქრებასთან ერთად.

დმანისის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი  
დმანისის ნაქალაქარი, რომელიც თბილისის შემდეგ ერთერთ ყველაზე ძლიერ ქალაქად ითვლება. იგი შუა საუკუნეების კლასიკურ ქართულ ქალაქს წარმოადგენდა, სადაც მე-13 საუკუნეში ქართული ფული იჭრებოდა (დავით ნარინის მონეტა).

### მდებარეობა

დმანისის მუნიციპალიტეტი აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს და ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციულ საზღვრებში შედის. მუნიციპალიტეტს ესაზღვრება - თეთრიწყაროს, წალკის, ზოლნისის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები და სომხეთის რესპუბლიკა.

მუნიციპალიტეტის ცენტრი - დმანისი - თბილისიდან დაშორებულია 102 კმ-ით, რეგიონის ცენტრიდან - 116 კმ-ით, უახლოესი რკინიგზის სადგურიდან (ზოლნისის მუნიციპალიტეტის დაბა კაზრეთი) - 30 კმ-ით. მანძილი უახლოეს საზაჟომდე 38 კმ-ს შეადგენს.



3

### ფართობი და გზების სიგრძე

დმანისის მუნიციპალიტეტის ფართობი მთლიანი ქვეყნის ფართობის (69700 კვ.კმ) 1,7%-ს შეადგენს, შესაბამისად მუნიციპალიტეტის ტერიტორია არის 1198,8 კვ.კმ მათ შორის სასოფლო-სამეურნეო სავარგულეზს უკავია 849853ა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს - 292873ა, ხოლო გამოუყენებელი ფართობია- 56083ა.

### კლიმატი

კლიმატურად დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორია მიეკუთვნება ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქს, ზომიერად თბილი სტეპურიდან ზომიერად ნოტიოზე გარდამავალი ზომიერად ცივი ზამთრით, თბილი ზაფხულით და ნალექების ორი მაქსიმუმით. ზღვის დონიდან 1,250 მ სიმაღლის ფარგლებში (დმანისის მეტეოსადგურის მდებარეობა) საშუალო წლიური ტემპერატურა 7,80C-ია. ყველაზე ცივი თვის (იანვარის) საშუალო ტემპერატურა - 2,70C, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი -280C. ყველაზე ცხელი თვის (ივლისის) საშუალო ტემპერატურა 18,20C-ია. აბსოლუტური მაქსიმუმი კი 350C. აქტიურ ტემპერატურათა ჯამი (+100C-ზე მაღალი) 2,470C. მზის ნათების საშუალო წლიური ხანგრძლივობა 1,900-2,100 სთ.

ნალექების წლიური ჯამია 600-700 მმ. თვიური ჯამის მაქსიმუმი, როგორც წესი, მაისს-ივნისში მოდის და საშუალოდ 110 მმ-ს შეადგენს. მეორე მაქსიმუმი სექტემბერ-ოქტომბრისთვის არის დამახასიათებელი - 60 მმ-მდე. ნალექების მინიმუმი დეკემბერშია - 24 მმ. მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს გვალვები. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 2,8 მ/წმ-ს უდრის. ძირითადად გაბატონებულია სამხრეთ-დასავლეთის მიმართულების ქარები. ზაფხულის თვეებში ხშირია კოკისპირული წვიმა და ელქვი, რომელსაც ხშირად თან ახლავს სეტყვა. სეტყვიან დღეთა საშუალო წლიური რაოდენობა 4-5.

ბუნებრივი საფრთხეებიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელია მეწყრული პროცესები, დვარცოფები, წყალდიდობები და წყალმოვარდნები რასაც თან ახლავს ნაპირების ეროზიული პროცესების გააქტიურება, ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, გვალვა და სეტყვა. ასევე კლდეზვავები და ქვათაცვენა. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მოქცეულია სეტყვის მაღალი საფრთხის ქვეშ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აქტიურად იმეწყრება გომარეთის პლატოს კიდეები. მდ. მამავერას კანიონსა და ზოლნის-დმანისის სავტომობილო გზის ცალკეულ მონაკვეთებზე აქტიურია კლდეზვავისა და ქვათაცვენის პროცესები.

### ბუნებრივი რესურსები

#### მიწის რესურსი

დმანისის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია მძიმე შავმიწა, მუქი ყავისფერი და ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები. ნატებურ ტაფობებსა და ტბების პირას გვხვდება დაჭაობებული და ნესტიან მდელოიანი ნიადაგები. აქაური ნიადაგი მდიდარია მაგნიუმით და კალციუმით, უმნიშვნელო რაოდენობით შვიცავს ნატრიუმსა და კალიუმს. ასეთი ტიპის ნიადაგებს, ერთი მხრივ, კარგი აგრონომიული თვისებები აქვს ხოლო მეორე მხრივ, ადვილად ექვემდებარება ეროზიული პროცესების გავლენას.

ბუნებრივი სათიბები და საძოვრები ალპურ და სუბალპურ ზონებში მდებარეობს, რაც ერთ-ერთი მყარი წინაპირობაა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და მეცხვარეობის განვითარებისათვის.

**წყლის რესურსი**

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩამოედინება მდინარეები: ხრამი, მაშავერა, მოშვეანი და შავწყალა. მდინარეები გამოიყენება ირიგაციული და ენერგეტიკული დანიშნულებით. მაგალითად, მაშავერაზე ფუნქციონირებს 5 სარწყავი სისტემა, რომელიც ზოლნისისა და მარნეულის მუნიციპალიტეტების 7440 ჰა ფართობს რწყავს. მუნიციპალიტეტში მდებარეობს 3 საირიგაციო წყალსაცავი: იაკუბლოს, პანტიანის და მთის ძირის, რომელთა მთლიანი მოცულობა დაახლოებით 19 მლნ მ<sup>3</sup>-ია. ამ მდინარეების რესურსები 1-დან 2 მეგავატამდე სამძლავრის ჰიდროელექტროსადგურის კასკადების აგების საშუალებას იძლევა. გარდა მდინარეებისა, მუნიციპალიტეტში არის 2 ბუნებრივი ტბა – პანტიანისა და გომარეთის.

**ტყის რესურსი**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიის 23 936 ჰა ფართობი ტყეს უკავია, აქედან 5 500 ჰა-ზე ფიჭვია გაშენებული, 20 ჰა-ზე – კაკალი, 0,5 ჰა-ზე წაბლის ხეებია, 5 ჰა-ზე – მოცვის ბუჩქები, 5 ჰა მუხის ხეებს უჭირავს. ტყის მნიშვნელოვანი ნაწილი წიფლის ხეებით არის დაფარული, მას მოსდევს რცხილა, ხოლო შედარებით ნაკლები რაოდენობითაა ივანი, მუხა და სხვა ხეები. გავრცელებულია ასკილი და სხვადასხვა კენკროვანი მცენარე. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და გაშენებული ტყეები რეკრეაციული დანიშნულებისაა. ასეთია, პანტიანის ტბის გარშემო არსებული ფიჭვის ტყე, რომელიც მთელი ზაფხულის განმავლობაში მრავალ დამსვენებელს იზიდავს.

**მინერალური რესურსი**

მუნიციპალიტეტს სამშენებლო მასალების წარმოების დიდი რესურსი აქვს გრანიტის, ქვიშის და პემზის სახით. მოსაპირკეთებელი მასალებიდან მოიპოვება: ბაზალტი, ყვითელი და მწვანე ტუფი. მოქმედებს ოქროს შემცველი და დიდი რაოდენობის ტორფის საბადოები, რომლის გამოყენება შესაძლებელია სოფლის მეურნეობაში ნიადაგის გასანოყიერებლად. მუნიციპალიტეტი მდიდარია როგორც სასმელი, ასევე სამკურნალო წყლებით.

**მოსახლეობა**

დმანისის მუნიციპალიტეტში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის მიხედვით 19141 ადამიანი ცხოვრობს, აქედან 9562 ქალი, 9579 კაცი. მუნიციპალიტეტში 58 დასახლებული პუნქტია, მათ შორის 1 ქალაქი და 57 სოფელი. ქალაქში რეგისტრირებულია 2661 პირი, აქედან ქალი - 1276, კაცი - 1385, ხოლო სოფლებში რეგისტრირებული 16480 პირი, 7944 კაცი, 8536 ქალი.

- ეთნიკურ ჭრილში მოსახლეობის გადანაწილება: ეთნიკურად ქართველი - 6,345, ეთნიკურად აზერბაიჯანელი - 12,530, ეთნიკურად სომეხი - 87, ეთნიკურად რუსი - 67, ეთნიკურად ბერძენი - 97, სხვა - 15.
- ასაკობრივ ჭრილში მოსახლეობის რიცხოვნობა პროცენტულად: 0-14 წლამდე - 20.9 %, 15-64 წელი - 62% , 65 + წელი - 17.1 %.
- ახალგაზრდობის ჭრილში მოსახლეობის რიცხოვნობა: 15-19 წლამდე - 1,286 ადამიანი, (ბიჭი 716 , გოგო 570), 20-24 წელი - 1,183, ადამიანი (ბიჭი 684, გოგო 499), 25-29 წელი - 1,284 (ბიჭი 694, გოგო 590)

დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მთლიანი საქართველოს მოსახლეობის 0,5%-ია.

დმანისი მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნის მონაცემებთან 2018 წლის მონაცემების მიხედვით		
დასახლება	მოსახლეობა	ფართობი (კვ. კმ)
სულ საქართველო	3787000	69700
დმანისის მუნიციპალიტეტი	19141	1198.8
პროცენტი საქართველოსთან	0,5%	1,7%

2020 წელს დმანისის მუნიციპალიტეტს მიენიჭა მაღალმთიანი დასახლების სტატუსი. მუნიციპალიტეტში 2021 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია 4453 პენსიონერი, აღირიცხება 1870 სოციალურად დაუცველი ოჯახი და მაღალმთიანი სტატუსი მიიღო 12 320 მოსახლემ.

**მმართველობის ორგანოები**

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოა მუნიციპალიტეტის საკრებულო. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება 30 წევრისგან. აქედან 20 არჩეულია პროპორციული, ხოლო 10 მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელმძღვანელობს საკრებულოს წევრების მიერ არჩეული თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს სამი მოადგიდე. საკრებულოში შექმნილია და მუშაობს 5 მუდმივმოქმედი კომისია, ესენია: სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისია; საფინანსო-საბიუჯეტო კომისია; სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია; ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია და სოციალურ საკითხთა კომისია.

დმანისის მუნიციპალიტეტში აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს პირდაპირი წესით არჩეული მერი. მუნიციპალიტეტის მერი აღმასრულებელი ხელისუფლებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის მერიის საბუღალტრო

მუნიციპალიტეტი მოიცავს 16 ტერიტორიულ, ადმინისტრაციულ ერთეულს: ქალაქი დმანისი, მაშავერა, დიდი დმანისი, განთიადი, ქიზილქილისა, კამარლო, კარაბულახი, სარკინეთი, გომარეთი, ამამლო, ოროზმანი, ირგანჯაი, გუგუთი, საკირე, იფნარი და დმანისის თემი.

### საჯარო დაწესებულებები


დმანისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

- 27 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 2840 მოსწავლე;
- ააიპ დმანისის სკოლამდელი აღზრდის სამსახური, რომლის ზედამხედველობის ქვეშ შედის 9 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცესს გადის 350 აღსაზრდელი
- ააიპ დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი - 186 მოსწავლე.
- ააიპ დმანისის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი - სხვადასხვა სტუდიებში და წრეებში ირიცხება 309 მოსწავლე;
- ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა, სადაც ფუნქციონირებს სპორტის 10 სახეობის სექცია, ირიცხება 258 მოსწავლე.
- ააიპ დმანისის სამუსიკო სკოლა, რომელშიც გაერთიანებულია ვარდისუბნისა და განთიადის ფილიალი. აღნიშნულ სკოლაში მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით და აღსაზრდელთა რაოდენობა შეადგენს 63 მოსწავლეს, რომელსაც ემსახურება 10 პედაგოგი;
- ააიპ დმანისის საბიბლიოთეკო სამსახური, რომელშიც შედის სოფელ განთიადის, სოფელ გომარეთის, სოფელ ამამლოს, სოფელ ვარდისუბნისა და ცენტრალური (საბავშვო) ბიბლიოთეკის ფილიალები.
- ააიპ დმანისის სათნოების სახლი ემსახურება მზრუნველობა მოკლებულთა ოჯახებს უფასო კვებით, სადაც გაერთიანებულია 64 ბენეფიციარი და ემსახურება 5 თანამშრომელი.

5

### ბიუჯეტი

დმანისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მონაცემებით ბიუჯეტი შეადგენს 30174.7 ათას ლარს. მათ შორის: გადასახადები 11200.0 ათასი ლარი, გრანტები - 8310.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 2850,0 ათასი ლარი და წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან მიმართული ხარჯების დასაფარავად 7814.7 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი შემოსავლებია 6300,0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების ნაშთი 1514.7 ათასი ლარი, ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტის მაჩვენებლებს შორის. აღნიშნულ გრანტში გათვალისწინებულია სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონები“-ს თანხა 1620.6 ათასი ლარი, რომელიც მიმართულია 2021-2022 წელს აღებული ვალდებულებების დაფარვისათვის და 2022 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის. ასევე ამ მიმართულებით გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერები 6689.4 ათასი ლარი რომელიც ყოველწლიურად მეტნაკლებად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.



თავი II. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი 2021-2026წლებში

შემოსულობები

2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2024-2026 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2019 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% ნაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2024-2026 წლების ეკონომიკური ზრდისა და დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების (ტრანსფერების) მაჩვენებელში ასევე, გათვალისწინებულია საკანონმდებლო ცვლილება, რომლის მიხედვით გაუქმდა გათანაბრებითი ტრანსფერი და შესაბამისად, როგორც 2021 წელს ასევე შემდგომ წლებშიც დმანისის ბიუჯეტის შემოსულობებში გათანაბრებითი ტრანსფერი არ არის მოცემული და გადასახდელეებში გათვალისწინებულია დღგ. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

დმანისის მუნიციპალიტეტის შემოსულობები ძირითადი კატეგორიების მიხედვით 2021-2026 წლებში

ათას ლარებში

დასახელება	2021წლის ფაქტი	2022წლის გეგმა	2023წლის პროექტი	2024წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026წლის პროგნოზი
შემოსულობები სულ	18732.3	18922.1	22260.0	25833.1	28719.5	30184.0
შემოსავლები	18682.6	18922.1	22060.0	25833,1	28719.5	30184.0
გადასახადები	9052.3	10440.5	13629.6	16662.1	19580.5	21045.0
საშემოსავლო გადასახადი	0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)	7440.4	8990.5	12129.6	15162.1	18080.5	19545.0
ქონების გადასახადი	1611.9	1450.0	1500.0	1500.0	1500.0	1500.0
გრანტები	4488.4	5931.6	5880.4	6621.0	6639.0	6639.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	4488.4	5931.6	5880.4	6621.0	6639.0	6639.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
მიზნობრივი ტრანსფერი	313.2	699.3	720.0	735.0	753.0	753.0
კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერი	4175.2	5232.3	5160.4	5886.0	5886.0	5886.0
სხვა შემოსავლები	5141.9	2550.0	2550.0	2550.0	2500.0	2500.0
არაფინანსური აქტივების კლება	49.7	0,0	200.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება)	0.0	7807.7	0.0	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

გადასახდელეები

არსებული სტრატეგიის შესაბამისად, პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რამაც უზრუნველყო მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2023-2026 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების და კულტურის ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობას. დმანისის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

N	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
	გადასახადები სულ	15710.9	26729.8	22260.0	25833.1	28719.5	30184.0
1	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	9304.8	17678.2	10350.7	13172.4	15425.9	16221.1
2	დასუფთავება და გარემოს დაცვა	909.2	1027.9	1590.0	1670.0	1730.0	1810.0
3	განათლება	938.9	1485.7	1334.0	1440.2	1553.0	1674.1
4	კულტურა და სპორტი	756.5	1293.8	1861.1	1975.4	2058.8	2167.9
5	მოსახლეობის განმრთვების დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1040.4	867.0	1261.3	1337.1	1413.8	1442.9
6	მართვების და საერთო დანიშნულების ხარჯი	2761.1	4377.2	5862.9	6238.0	6538.0	6868.0

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

2021-2026 წლებში

(ათას ლარებში)

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის პროექტი	2024 წლის პროგნოზი	2025 წლის პროგნოზი	2026 წლის პროგნოზი
I შემოსავლები	18682.6	18922.1	22060.0	25833.1	28719.5	30184.0
გადასახადები	9052.3	10440.5	13629.6	16662.1	19580.5	21045.0
გრანტები	4488.4	5931.6	5880.4	6621.0	6639.0	6639.0
სხვა შემოსავლები	5141.9	2550.0	2550.0	2550.0	2500.0	2500.0
II ხარჯები	6752.6	11815.1	13907.7	13399.3	14275.0	15134.0
შრომის ანაზღაურება	1653.0	2676.5	3243.3	3370.0	3706.0	4077.0
საქონელი და მომსახურება	2007.5	3140.4	3287.4	3453.3	3624.0	3805.0
პროცენტი	28.8	31.0	25.0	20.0	15.0	12.0
სუბსიდიები	2103.9	3056.3	4548.0	4866.0	5205.0	5570.0
გრანტები	25.0	2325.0	1355.0	175.0	125.0	125.0
სოციალური უზრუნველყოფა	798.6	575.0	806.0	845.0	890.0	930.0
სხვა ხარჯები	135.8	250.9	643.0	670.0	710.0	740.0
III საოპერაციო საღდო	11930.0	7107.0	8152.3	12433.8	14444.5	15050.0
IV არაფინანსური აქტივების ცვლილება	8852.9	14619.1	8152.3	12433.8	14444.5	15050.0
ზრდა	8902.6	14619.1	8352.3	12433.8	14444.5	15050.0
კლება	49.7	0	200.0	0.0	0.0	0.0
V მთლიანი საღდო	3077.1	-7512.1	0.0	0.0	0.0	0.0
VI ფინანსური აქტივების ცვლილება	3021.4	-7807.7	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	3021.4	0.0				
ვალუტა და დემოზიტები	3021.4	0.0				
კლება	0.0	7807.7	0.0			
ვალუტა და დემოზიტები	0.0	7807.7	0.0			
სესხები		0.0				
აქციები და სხვა კაპიტალი						
სხვა დებიტორული დავალიანებები						
VII ვალდებულებების ცვლილება	-55.6	-55.6	55.6	55.6	55.6	55.6
ზრდა						
საგარეო						
საშინაო						
კლება	55.6	55.6	55.6	55.6	55.6	55.6
საგარეო						
საშინაო	55.6	55.6	0.0			
		0.0	0.0			
VIII ბალანსი	0.0		0.0		0.0	0.0



დმანისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საკასო შესრულებამ შეადგინა 18732.3 ათასი ლარი ანუ გეგმასთან მიმართებაში 81.3% ( გეგმა -23032.1 ათასი ლარი, ფაქტი- 18732,3 ათასი ლარი),მათ შორის: დამატებული ღირებულების გადასახადი შესრულებულია 103.5% ( გეგმა-7192.4 ათასი ლარი,ფაქტი 7440.5 ათასი ლარი), ქონების გადასახადი შესრულებულია 115.1%( გეგმა-1400.0 ათასი ლარი,ფაქტი-1611.9 ათასი ლარი), გრანტები მიღებულია 71.2 % (გეგმა 6297.7 ათასი ლარი ფაქტი 4488,4ათასი ლარი).გადასახადების სახით მობილიზებულია18682.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 18070.1 ათასი ლარის 103,4%-ია,წინა წელთან შედარებით მტკია შემოსული 2159.3 ათასი ლარის ოდენობით(ფაქტი 16523,3 ათასი ლარი).

სხვა შემოსავლების შესრულება დაფიქსირდა 161.7% (გეგმა 3180.0 ათასი ლარი,ფაქტი- 5141.9 ათასი ლარი).მათ შორის მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მიღებულია 3503.4 ათასი ლარი,რაც გეგმასთან 2421.0 ათასი ლარის შეფარდებაში შესრულებულია 144.7%, აღნიშნული მოსაკრებელი ძირითადად მიღებულია წიაღის მოპოვებიდან RMG GOLD-ის მიერ და წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები 534.6 ათასი ლარის ოდენობით ხოლო, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის იჯაროდან და მართვაში გადაცემიდან მიღებულია 456.4 ათასი ლარი.

2021 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 5049.8 ათასი ლარი საიდანაც ხარჯების დასაფარად მიმართული იქნა 4962.0 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული ასიგნებები შეადგენს 1340.7 ათას ლარს,ხოლო საკუთარი შემოსავლების 3621,3 ათას ლარს.

დმანისის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეულმა ხარჯმა 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 15710.9 ათასი ლარი, რაც დამტკიცებულ გეგმასთან მიმართებაში ათვისებულია 68.2% (გეგმა 23032.1 ათასი ლარი) მათ შორის:

< ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დახარჯულმა ოდენობამ შეადგინა 9413.6 ათასი ლარი,რაც გეგმის (16925.5 ათასი ლარი) 55.6%-ია.

აქედან სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ათვისებულია 3581.1 ათასი ლარი ,რაც გეგმის (5046.2 ათასი ლარი) 71%-ია,ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან ათვისებულია 5832.5 ათასი ლარი,რაც გეგმის 49.1%-ია.

< დასუფთავება და ნარჩენების გატანაზე გაცემულია 875.2 ათასი ლარი რაც გეგმის (920.0 ათასი ლარი) 95.1%-ია.

< განათლებაზე დახარჯულია 938.9 ათასი ლარი,რაც გეგმის (1116.3 ათასი ლარი) 84.1%-ია.

< კულტურა რელიგია,ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებზე გაცემულია 756.5ათასი ლარი,რაც გეგმის (809.6ათასილარი) 93.4%-ია.

< მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფაზე გაცემულია 1040.4 ათასი ლარი,რაც გეგმის (1077,8 ათასი ლარი)96,5%-ია .აქედან საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე გაცემულია 54.1 ათასი ლარი გეგმის 100%,ხოლო სოციალურ პროგრამებზე 986.3 ათასი ლარი ანუ გეგმის (1023.6 ათასი ლარი) 96,3%.

< წარმომადგენლობითი,საერთო დანიშნულების და აღმასრულებელი ორგანოების შენახვისათვის დახარჯულია 2686.3 ათასი ლარი,რაც გეგმის (3028.1 ათასი ლარი) 88.7%-ია.

უნდა აღინიშნოს,რომ წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთი მიმართული იქნა 2020 წელს გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებისთვის, კერძოდ:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული თანხები, შესაბამისი განკარგულების საფუძველზე მიმართული იქნა შემდეგი პროექტების განხორციელებისათვის თანადაფინანსების გათვალისწინებით:

>სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 182882 ლარი და თანადაფინანსება -38263 ლარი;

>სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 91293 ლარი და თანადაფინანსება 44559 ლარი;

>სოფელ ვარდისუბნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე თანადაფინანსება 30494 ლარი;

>ქ.დმანისში N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 114475 ლარი და თანადაფინანსებაზე 73334 ლარი;

>ქ.დმანისის N3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 196119 ლარი და თანადაფინანსებაზე 10323 ლარი;

>სოფელ ქვემო კარაბულახის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე 86797 ლარი და თანადაფინანსებაზე 4569 ლარი;

>სოფელ ახალი გოდაგდაგის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე 71039 ლარი და თანადაფინანსებაზე 3739 ლარი;

> სოფელ ამამლოში გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობა (910 გრძ.მ) 82432 ლარი და თანადაფინანსებაზე 4339 ლარი;

>სოფელ ველისპირში ჭაბურღილის მშენებლობაზე 5159 ლარი და თანადაფინანსებაზე 592 ლარი;

>სოფელ ჯავახში არსებულ გზებზე სანიაღვრე არხების მოწყობაზე,სოფელ ბოსლების შიდა გზების რეაბილიტაციაზე და სოფელ გომარეთის შიდა გზის რეაბილიტაციაზე 57794 ლარი და თანადაფინანსებაზე 116243 ლარი;

>სოფელ საკირეში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე, დმანისი გომარეთის-ზედიანის გზიდან სოფელ უსეინქენდი და მამიშლარის მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე 82534 ლარი და საკუთარი შემოსავლებიდან თანადაფინანსების შეესებთ 165071 ლარი;

სულ აღნიშნული პროექტების დასრულებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი თანხებიდან მიმართული იქნა 970524 ლარი და საკუთარი შემოსავლებიდან (თანადაფინანსება) 491526 ლარი.რაც შეეხება აუთვისებულ ნაშთებს, რომელიც გამოწვეულია შესაბამისი ხელშეკრულებების შეწყვეტით და შესრულებული სამუშაოებიდან მორჩენილ თანხებს, საჭიროა საკითხი დაყენებული იქნეს ინფრასტრუქტურის სამინისტროში ახალი პროექტის განხორციელების მიზნით თანხების გამოყოფაზე განკარგულების გამოცემა.აუთვისებული ნაშთები დარჩენილია შემდეგი პროექტებიდან:

< სოფელ კამიშლოში მისასვლელი გზის რეაბილიტაციიდან 80176 ლარი, სოფ პატარა დმანისის მისასვლელი გზის მოასფალტებიდან 5959 ლარი, სოფ.პანტიანის შიდა გზის რეაბილიტაციიდან 24296 ლარი,სოფ ტნუსის შიდა გზის რეაბილიტაციიდან 2483 ლარი, სოფ.კამიშლოში მისასვლელი გზიდან 131085 ლარი,სოფ.სოფეთლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციიდან 8898 ლარი , სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებიდან 55138 ლარი, და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით დარჩენილი თანხების განკარგვაზე 43882 ლარი,სოფლის მხარდაჭერის პროგრამებიდან აუთვისებელი თანხების 18259 ლარის ფარგლებში სულ შესაძლებელია აღნიშნული თანხებით განხორციელდეს პროექტების შესყიდვა, რომლის ოდენობაც შეადგენს სავარაუდოდ 370176 ლარის ფარგლებში.

გარდა აღნიშნულსა საკუთარი შემოსავლებიდან წლის დასაწყისისათვის არსებული ნაშთიდან მიმართული იქნა შემდეგი პროექტების დასრულებისათვის 1318433 ლარი კერძოდ:

< სოფელ გომარეთის ადმინისტრაციის არსებული ქვისღობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის, სოფელ მამულაში სარტულალო დარბაზის ეზოში დამზარე ნაგებობებისა და საპირფარეოს მოსაწყობად, დმანისის მუნიციპალიტეტში შიდა სახელმწიფო გზასთან უსახური შენობების რეაბილიტაცია და იფნარის ადმინისტრაციული შენობის ეზოს შემოღობვისთვის 76501 ლარი;

< სოფელ გოდაგატაგაში რიტულალების სახლის საამშენებლო სამუშაოებისათვის 36804 ლარი;

< სოფელ ზემო ოროზმანის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციაზე 72899 ლარი;

< დმანისის მუნიციპალიტეტში სოფლების მისასვლელი გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 37009 ლარი;

< სოფელ ამალოში სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობისთვის 117777 ლარი;

< სოფელ ირგანჩაიში სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობისთვის 177788 ლარი;

< სოფელ ზემო კარაბულახში სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობისთვის 107611 ლარი;

< ქ.დმანისში გორგასლის ქუჩაზე სკვერის მოწყობისთვის 91920 ლარი;

< ქ.დმანისში ჭუბერის 3-ე ჩიხში სკვერისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაციაზე 222245 ლარი;

<ქ.დმანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე არსებული სკვერის რეაბილიტაციაზე 85910 ლარი;

< სოფელ ირგანჩაიში რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებისათვის 102500 ლარი;

< სოფელ მთისძირში საცხოვრებელი კორპუსის და მოსაცდელების მოსაწყობად და სოფელ დაგარახლოში,განახლებაში,განთიადში ვარდისუბანში, მამულაში,განთიადში საბავშვო ბაღთან მოსაცდელების მოსაწყობად 39544 ლარი;

< დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სიჩქარის შემზღუდავი ბორცვების ,საგზაო ციმციმა და ბეტონის პარამეტრების მოწყობა და პირიზონტალური მონიშვნის საღებავით და რკინის პარაპეტების მოსაწყობად 15000 ლარი;

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსახორციელებელი პროექტების ღირებულება აღემატება 50000 ლარს ინფრასტრუქტურული ობიექტების საამშენებლო სამუშაოებზე სახედამხედველო მომსახურებაზე N125 ხელშეკრულებიდან გაცემულია 136946 ლარის ოდენობით,ხოლო N38 ხელშეკრულებიდან 104038 ლარი სულ გაცემულია 240984 ლარი.

**2022 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა**

2022 წლის 1-ლი ოქტომბრის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების მოცულობა განისაზღვრა 30174.6 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის: გადასახადები 11200.0 ათასი ლარი, გრანტები -8310.0 ათასი ლარი, სხვა შემოსავლები 2850.0 ათასი ლარი და გარდამავალი ნაშთის მიმართებით ხარჯების დასაფარავად 7814,7 ათასი ლარის ოდენობით.მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან ნაშთი შეადგენს 1514,7 ათას ლარს,ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაშთს 6300.0 ათასი ლარს. არსებული ნაშთიდან მიმართული იქნა 2019-2020-2021 წლებში გაფორმებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემდეგი პროექტების დასრულებისათვის:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებით გამოყოფილი- სოფელ ჯავახის გზაზე სანიაღვრე არხების მოსაწყობად,სოფელ ბოსლების და სოფელ გომარეთის შიდა გზის რეაბილიტაციისათვის 57794 ლარი, ხოლო საკუთარი ნაშთიდან 116243 ლარი. აღნიშნული განკარგულებიდან გათვალისწინებული იქნა სოფელ საკირეში მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე და დიდი დმანისის-დმანისი გომარეთი-ბედიანის გზიდან სოფელ უსენიქენდი,მამიშლარის მისასვლელი გზის რეაბილიტაციისთვის 82534 ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლების ნაშთიდან 165071 ლარი. სოფელ კამიშლოში მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 80176 ლარი,სოფელ პანტიანის შიდაგზის რეაბილიტაციაზე 24296 ლარი და სოფელ ტნუსის შიდა გზის რეაბილიტაციაზე 2483 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N2685 განკარგულებიდან აუთვისებელი თანხების მიმართებით შემდეგი პროექტების დასრულებისთვის:

> სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 182882 ლარი,ხოლო საკუთარი ნაშთიდან 38263 ლარი; სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისთვის 91293 ლარი და საკუთარი ნაშთიდან 44559 ლარი; ქ.დმანისში არსებული N2 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 114475 ლარი და საკუთარი ნაშთიდან 73334 ლარი,ხოლო N3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე 196119 ლარი და საკუთარი ნაშთიდან 10323 ლარი;

> სოფელ ქვემო კარაბულახის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე 86797 ლარი და საკუთარი ნაშთიდან 4569 ლარი; ახალი გოდაგატაგის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაზე 71039 ლარი და საკუთარი ნაშთიდან 3739 ლარი, ხოლო სოფელ ვარდისუბნის საბავშვო ბაღის რეაბილიტაციაზე საკუთარი შემოსავლებიდან 30494 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის N2630 განკარგულებიდან აუთვისებელი თანხების ნაშთიდან მიმართული იქნა შემდეგი პროექტების დასრულებისათვის კერძოდ სოფელ ამალოში არსებულ გზაზე სანიაღვრე არხების მოწყობისთვის 82432 ლარი და საკუთარი ნაშთიდან 4339 ლარი,ხოლო სოფელ ველისპირის ჭაბურღილის მშენებლობაზე 5159 ლარი და საკუთარი შემოსავლებიდან 592 ლარი;

საქართველოს მთავრობის N2577 განკარგულებიდან აუთვისებელი თანხა მიმართული იქნა სოფელ კამიშლოში მისასვლელი გზის დასრულებისთვის 131085 ლარი,ხოლო N551 განკარგულების ნაშთი 8898 ლარი სოფელ სოგუთლომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციაზე და N1213 განკარგულებიდან დარჩენილი თანხა 55138 ლარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებას, ასევე გათვალისწინებული იქნა 2017-2021წლების სოფლის მხარდაჭერის პროგრამის აუთვისებელი ნაშთი 185300 ლარი,რომელიც დაემატა 2022 წელში გამოყოფილ თანხას.

2022 წლის 1-ლი იანვრისათვის არსებული საკუთარი შემოსავლების ნაშთიდან მიმართული იქნა 2021 წლის 1-ლი იანვრისათვის

>სოფელ მთისძირში რეზერვუარისა და მაგისტრარული ხაზის მოწყობის სამუშაოებისათვის 106812 ლარი,სოფელ გომარეთის ადმინისტრაციული შენობის წინ ქვის ღობის სარეზილიტაციო სამუშაოებისათვის 76500 ლარი, დამანისის მუნიციპალიტეტში შენგავალი სოფლებში სახმელი წყლების და ჭაბურღილების მოვლა შენახვისათვის 27997 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიგბული შენობის-სათნობის სახლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის 18300 ლარი, მუნიციპალიტეტის სოფლებში მისასვლელი გზების სარეზილიტაციო სამუშაოებისათვის 37009 ლარი და ინფრასტრუქტურული პროექტების 50000 ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოებზე ზედამხედველობის მომსახურებისათვის N125 დაN38 ხელშეკრულებებისათვის 126920 ლარი.

>სოფელ გოდაგდაგში რიტუალების სახლში საამენებლო სამუშაოების დასრულებისათვის 36804 ლარი,სოფელ ზემო ოროზმანში სპორტული დარბაზის რეაბილიტაციისათვის 72899 ლარი, სოფელ ამალოში სკვერისა და სპორტული მოედნის მოწყობისათვის 117777 ლარი, სოფელ ირგანაში სკვერისა და სპორტული მოედნის მოსაწყობად 177788 ლარი,სოფელ ზემო კარაბულახში სკვერისა და სპორტული მოედნის მოსაწყობად 107611 ლარი,ქ.დამანისში გორგასალის ქუჩაზე სკვერის მოსაწყობად 91920 ლარი, ქ.დამანისში ჭუბერის 3-ე ჩიხში სკვერისა და სპორტული მოედნის რეაბილიტაციაზე 222245 ლარი,ქ.დამანისში 26 მაისის ქუჩაზე მდებარე სკვერის რეაბილიტაციაზე 39189 ლარი,სოფელ ირგანაში რეზერვუარის მოწყობის სამუშაოების დასრულებისათვის 102500 ლარი და სოფელ მთისძირში საცხოვრებელი კორპუსის და მოსაცდელის მოსაწყობად 39544 ლარი.სულ არსებული ნაშთიდან ზემოთ მითითებული პროექტების დასრულებისათვის გათვალისწინებული იქნა 1401815 ლარი;

გარდა აღნიშნულისა 2022 წელს დაგეგმილი იქნა ინფრასტრუქტურული პროექტები საკუთარი შემოსავლებიდან, როგორც გარდამავალი ნაშთიდან ისე მიმდინარე შემოსავლებიდან შემდეგი პროექტები:

>სოფელ განთიადში სამუსიკო სკოლის ოთახების რეაბილიტაციაზე 65862ლარი, სოფელ კამარლოში ახალი რეზერვუარის მშენებლობაზე 284616 ლარი, სოფელ გუგუთში გარე განათების მოსაწყობად 64580 ლარი, სოფელ დიდ დამანისის შემოსასვლელში გადასახედის მოსაწყობად 50077 ლარი, ქ.დამანისში წმინდა ნინოს ჩიხის N1 -ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის სახურავის რეაბილიტაციაზე 91960 ლარი, ქ.დამანისში წმინდა ნინოს ქუჩა N58-ში მდებარე სარეპეტეციო დარბაზის რეაბილიტაციისათვის 73960 ლარი, სოფელ განთიადში მინი სტადიონის რეაბილიტაციაზე 50169 ლარი, სოფელ ტნუსში მინი სტადიონის რეაბილიტაციაზე 81218 ლარი, სოფელ საფარლოში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციაზე 135978 ლარი, სოფელ განთიადში ნაგზაურთან მისასვლელი ბილიკის და შემოღობვის სამუშაოებისათვის 17598 ლარი, დამანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში ადმინისტრაციული შენობების და რიტუალების სახლებში გაზიფიცირების სამუშაოების მოსაწყობად 34011 ლარი..

>ასევე მიმდინარეობს ქ.დამანისში წმინდა ნინოს ქუჩის და 9 აპრილის ქუჩის დარჩენილი ნაწილის გარე განათების მოწყობის სამუშაოები რისთვისაც გათვალისწინებულია 478539 ლარი, ქ.დამანისში არსებული მონუმენტის რეაბილიტაციაზე გამოყოფილია 346371 ლარი,სოფელ ირგანაში ადმინისტრაციული შენობის და სარიტუალო დარბაზის მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 455014 ლარი და ქ.დამანისში ავტოსადგურთან ტერიტორიის კეთილმოწყობითი სამუშაოებისათვის 81669ლარი;

> დამანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისსუბნიდან სოფელ მაშავერის მიმართულებით საცალფეხო ბილიკის მოწყობის სამუშაოებისათვის 91785 ლარი, ლუკუმის მთაზე საპიკნიკე სივრცის მოწყობის სამუშაოებისათვის 63455 ლარი, ქ.დამანისში ქეთევან დედოფლის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბაღთან საცალფეხო ხიდის მოწყობისათვის 65336 ლარი, ქ.დამანისში წმინდა ნინოს ქუჩა N35-ში სკვერის მოწყობისათვის 365642 ლარი,სოფელ საკირეში შიდა გზის რეაბილიტაციაზე 87079ლარი,სოფელ ამალოში საცალფეხო ხიდის მოწყობისათვის 37000 ლარი და მერიის შენობაში საოფისე ფართის მოწყობისათვის 87630 ლარი,კამერების და მისი თანმდევიმომსახურების შეძენა 174000 ლარი,სტიქიის შედეგად დაზიანებული ცენტრარულ სტადიონზე არსებული შენობის რეაბილიტაციაზე 17741 ლარი,სოფელ ლოქქანდარის საზღვარზე სახმელი წყლის მიწოდებისათვის 60000 ლარი,დიდი დამანისი-დამანისი-გომარეთი-ბედიანის გზის 0 კილომეტრზე „მე მიყვარს დამანისი“ წარწერის მოწყობა 55000 ლარი,სოფელ დაგარახლოს სარიტუალო დარბაზის სახურავის რეაბილიტაციაზე 4500 ლარი და მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების, სამხედრო სამსახურის შენობის და სოფელ განთიადში თოვლისგან დაზიანებული და ქარისგან დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციისათვის 11996 ლარი.

> საბავშვო ბაღებისთვის გენერატორების შესაძენად გათვალისწინებულია 60358 ლარი და მელიორაციისათვის სარწყავი სისტემის აღდგენისათვის ჰიდრანტების შესაძენად გამოყოფილია 31252 ლარი.

> საგზაო კამერების და მისი თანმდევი მომსახურების შეძენისთვის გათვალისწინებულია 140000 ლარი,ხოლო სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან დამანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული სოციალურად დაუცველი ოჯახების საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციაზე გათვალისწინებულია 221754 ლარი.

>სოფლის მზარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების თანადაფინანსებისათვის გათვალისწინებულია 503251 ლარი,პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნისათვის 300 000 ლარი და საზედამხედველო საქსპერტო მომსახურების შესყიდვისათვის 228000 ლარი.

>რეგიონალური განვითარების ფონდიდან და მთის ფონდიდან გამოყოფილი პროექტების თანადაფინანსების მიზნით გათვალისწინებულია 1156367 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022წლის 17 იანვრის N75 განკარგულების საფუძველზე „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ დამანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია შემდეგი პროექტების შესრულებისათვის:

>სოფელ სარკინეთში საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის 75050 ლარი, ქ.დამანისში N3 საბავშვო ბაღის რეაბილიტაციისათვის 384621 ლარი, ქ.დამანისში შიდა გზების რეაბილიტაციაზე და სანიაღვრე არხების მოწყობისათვის 879552 ლარი, სოფელ გომარეთის შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე 660231 ლარი , დამანისის მუნიციპალიტეტის სოფელ კიხილაჯლოს რეზერვუარის და წყალსადენის რეაბილიტაციაზე 189620 ლარი, ქ.დამანისში კოსტავას ქუჩის რეაბილიტაციაზე 526626 ლარი, დამანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოსლემში სკვერის მოსაწყობად გამოყოფილია 422456 ლარი, სოფელ დაგარახლოს წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაციაზე 426821 ლარი,სოფელ გომარეთის კულტურის ცენტრის მშენებლობისათვის 489222 ლარი და სოფელ იფნარის მაგისტრალური ხაზის, ახალი რეზერვუარის და შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოებისათვის 334875 ლარი.

გარდა აღნიშნულისა დაგეგმილია და მიმდინარეობს შიდა გზების მოვლა -შენახვა და სახმელი წყლის სისტემების მოვლა- შენახვა რისთვისაც გათვალისწინებულია 528.0 ათასი ლარი და დაზიანებული მონაკვეთის აღდგენა ხორციელდება ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის ზედამხედველების მეშვეობით.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N926 განკარგულების საფუძველზე „მაღალმთიანი დასახლებების ფონდიდან“ დამანისის მუნიციპალიტეტს გამეყო სოფელ მაშავერაში რიტუალების სახლიდან სკოლამდე გზის მოწყობისათვის 356286 ლარი.

> საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ გამოყოფილი თანხებით 2021 წელს დაიწყო და დამთავრდა ქ.დმანისში წმინდა ნინოს ქუჩაზე არსებული სკვერისა და შადრევნის რეაბილიტაცია რისთვისაც გათვალისწინებული იყო 1912251 ლარი და საზედამხედველო მომსახურებისათვის 21016 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია და მიმდინარეობს 25 სოფელში გარე განათების მოწყობა, რისთვისაც გათვალისწინებულია 404293 ლარი, 4 სოფლის გზების მოხრეშვებზე 75874 ლარი, სასმელი წყლების რეაბილიტაციაზე 15 სოფელში 291810 ლარი, შიდა გზების და ხიდების რეაბილიტაციაზე 6 სოფელში 169732 ლარი და სხვა სამუშაოებისთვის 16 სოფელში 335542 ლარი (კეთილმოწყობის ღონისძიებებზე, სასაფლაოების შემოღობვა, სკვერების შემოღობვა და ინვენტარის შექმნა)

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მიერ 2022 წელში დაგეგმილია და ხორციელდება შემდეგი სოციალური პროგრამები:

1. სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების პროგრამა. პროგრამის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებთან ერთად უზრუნველყოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამით მოსარგებლეთათვის გამოიყენება შემდეგი სოციალური კრიტერიუმები:

ა). სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ 100000 ქულის ჩათვლით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი სარეიტინგო ქულა; ბ). იძულებით ადგილნაცვალი პირები და მათი ოჯახის წევრები; გ). 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები; დ). ობოლი არასრულწლოვანი ბავშვები; ე). ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები; ვ). C ჰეპატიტით დაავადებული პირები; ზ). მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ისარგებლებენ სამედიცინო სტაციონალური, ამბულატორიული დახმარების მუნიციპალური პროგრამით რომლებზეც წლის განმავლობაში გაიცემა 380.0 ათასი ლარი და შესაბამისად ისარგებლებს აღნიშნული პროგრამით დაახლოებით 600-მდე ბენეფიციარი.

2. ტრანსპორტით მომსახურების მუნიციპალური პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ა). დმანისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უსინათლოები 28 მოქალაქე; ბ). ვეტერნები 238 მოქალაქე; გ). დიალიზის მქონე პირები 17 მოქალაქე; დ) სტუდენტები სავარაუდოდ 300-მდე, რაზეც აღნიშნული პროგრამა დაფინანსდება 122.8 ათასი ლარის ფარგლებში. ასევე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი მოთხოვნის გათვალისწინებით ტრანსპორტის გამოყოფა, საქართველოს მამტაბით სხვადასხვა მხარეში გამართულ კულტურულ, სოციალურ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში ჩართულობა. სამუშაო დღეებში მოსახლეობის შიდა მუნიციპალური გადაადგილებისათვის ტრანსპორტის გამოყოფა.

3. ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამით მოსარგებლე პირები არიან ავთვისებიანი სიმსივნითა და C ჰეპატიტით დაავადებული მოქალაქეები, პროგრამა დაფინანსდება 350.0 ათასი ლარის ფარგლებში. და დაახლოებით ისარგებლებს 800-მდე ბენეფიციარი.

4. ფენლექტონური დაავადებული ბავშვთა სპეციალური კვების პროდუქტებით დახმარების პროგრამა, წლის განმავლობაში დაფინანსდება 12.0 ათასი ლარის ფარგლებში (5 ბენეფიციარი).

5. ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით საწვავით (სათბობი შეშით ან „ბრეკეტით“) უზრუნველყოფის მუნიციპალური პროგრამა, რომლის მოსარგებლე პირებიც არიან მარტოხელა პენსიონერები და მერის გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირები, რაზეც წლის განმავლობაში 160 ოჯახზე დაფინანსებული იქნება 55.0 ათასი ლარი.

4. მზრუნველობა მოკლებულთა უფასო კვებით სარგებლობს უკიდურესად გაჭირვებული, სოციალურად დაუცველი და მარტოხელა პენსიონერები, რომელსაც ემსახურება ააიპ „დმანისის სათნოების სახლი“, სადაც რეგისტრირებულია და წლის განმავლობაში დაიხარჯება 64 ბენეფიციარის შენახვაზე 102.0 ათასი ლარი.

5. აუტიზმის სპექტრის აშლილობათა მქონე ბავშვების რეაბილიტაციის სოციალური დახმარები პროგრამაზე 23100 ლარი.

6. მიღვალეულთა სარიტუალო მომსახურების მუნიციპალური პროგრამა 20000 ლარი

7. დიალიზის პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა ფინანსური მხარდაჭერა-18000 ლარი

თავი III

დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

ინფრასტრუქტურის განვითარება

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ინფრასტრუქტურის განვითარება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მონიციპალიტეტში ინოვაციური მოხიზვის რა...

განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება		2021 წელი	2022 წელი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	9304.8	20445.8	9206.3	13033.8	15064.5	15670.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურა განვითარება	1421.6	4304.2	5220.2	5722.0	7500.0	8500.0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა	240.6	300.0	350.0	350.0	350.0	350.0
02 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია	1181.0	4004.2	4870.2	5372.0	7150.0	8150.0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1977.8	4705.3	1318.1	2550.0	1500.0	1500.0
02 02 01	წყლის სისტემების მოვლა-შენახვა	144.4	228.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02 02	წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	1833.4	4477.3	1318.1	2550.0	1500.0	1500.0
02 03	გარე განათება	616.3	1114.3	630.0	680.0	700.0	700.0
02 03 01	გარე განათების ექსპლუატაცია	0	0	0	0	0	0
02 03 02	ელექტროენერჯის ხარჯი	402.0	550.0	600.0	650.0	670.0	670.0
02 03 03	კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში	214.3	564.3	30.0	30.0	30.0	30.0
02 04	მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია	2836.3	3693.8	1046.6	1087.4	1628.5	1234.0
02 04 01	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიგული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია	2836.3	3323.8	746.6	1087.4	1628.5	1234.0
02 04 02	ავარიული ობიექტების შენობების რეაბილიტაცია (ბინათმშენებლობა)	0.0	370.0	300.0	0.0	0.0	0.0
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1042.9	4462.1	191.4	1458.4	2150.0	2150.0
02 05 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	1042.9	4462.1	191.4	1458.4	2150.0	2150.0
02 05 02	შადრევან-აუზების ექსპლუატაცია, რეაბილიტაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 05 03	სასაფლაოების მოვლა, სარიტუალო ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	996.2	1480.9	500.0	1186.0	1186.0	1186.0
02 07	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა	413.7	685.2	300.0	350.0	400.0	400.0
02 08	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

კოდი	პროგრამის დასახელება	საგზაო ინფრასტრუქტურა	2023 წლის დაფინანსება ათას ლარში	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2026 წლის დაფინანსება ათას ლარში
02 01			4870.2	5372.0	7150.0	8150.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური				
პროგრამის აღწერა		გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას. მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე მუნიციპალიტეტში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზების და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითი ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, მნიშვნელოვანია საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოების განხორციელება.				

	ხრეშოვანი მასალით მოწყობას, ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალურ შეკეთებას, გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავებას და ა.შ.						
<b>პროგრამის მიზანი</b>	საეკონომილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, არსებული გზების ექსპლუატაციის გაზრდა.						
<b>პროგრამის მოსალოდნელი შედეგი</b>	მუნიციპალიტეტში მოდერნიზებული და რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, რომლის წყალობითაც ხორციელდება მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.						
<b>#</b>	<b>მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი</b>	<b>ინდიკატორის საბაზისო მაჩვენებელი</b>	<b>ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2023 წელს</b>	<b>ცდომილ ხის ალბათობა (%/აღწერა)</b>	<b>ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2024 წელს</b>	<b>ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2025 წელს</b>	<b>ინდიკატორის მიზნობრივი მაჩვენებელი 2026 წელს</b>
1	წლის განმავლობაში რეაბილიტირებული (ასფალტირებული, ასფალტობეტონის, ბეტონის, გრანიტის საფარის მქონე) საეკონომილო გზების წილი (%) იმ ადგილობრივი ასფალტირებული ან ასფალტობეტონის საფარიანი გზების საერთო სიგრძესთან მიმართებაში, რომლებიც საკიროვდება კაპიტალურ შეკეთებას	50 %	55 %	5%	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაზრდა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება/გაზრდა
